# საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

# გადაწყვეტილება

N გ-20-7/121
20/02/2020

121-გ-20-1-4-202002200943

**რადიომოყვარულ ჯუნიჩი ტანაკასთვის რადიოელექტრონული საშუალებებისა და მაღალსიხშირული მოწყობილობების გამოყენებისთვის სახმობის მინიჭების შესახებ**

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდეგში „კომისია“) აღნიშნავს, რომ კომისიას განცხადებით (კომისიაში რეგისტრაციის №შ-20-8/374, 28.01.20) მიმართა იაპონიის მოქალაქე ჯუნიჩი ტანაკამ, საქართველოში მისი ვიზიტის (2020 წლის 20 - 31 მარტი, 2020 წლის 22 მაისი - 2 ივნისი, 2020 წლის 10 - 31 ივლისი) პერიოდში, სამოყვარულო რადიოსადგურით სამოყვარულო რადიოკავშირის განსახორციელებლად სახმობის დროებით მინიჭების თაობაზე.

კომისია აღნიშნავს, რომ ჯუნიჩი ტანაკას, ავსტრიის სარეგისტრაციო დოკუმენტის შესაბამისად, შეუძლია გამოიყენოს სამოყვარულო რადიოსადგური, იგი არის „A“ კატეგორიის რადიომოყვარული და მინიჭებული აქვს სახმობი OE1ZKC.

კომისია ასევე აღნიშნავს, რომ ჯუნიჩი ტანაკას კომისიის 2019 წლის 11 აპრილის № 227/7 გადაწყვეტილებით მინიჭებული ჰქონდა სახმობი 4L9S, 2019 წლის 24 მაისიდან - 2 ივნისის ჩათვლით.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის $47^1$ მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ $51^5$ მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების და $51^8$ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად ერთხმად

**გადაწყვიტა:**

1. მიენიჭოს რადიომოყვარულ ჯუნიჩი ტანაკას სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენებისთვის და დანართში (თან ერთვის) მითითებულ სიხშირულ დიაპაზონებში საქმიანობისთვის, სახმობი, ცხრილში აღნიშნული მონაცემების შესაბამისად **2020 წლის 20 მარტიდან 31 მარტის ჩათვლით, 2020 წლის 22 მაისიდან 2 ივნისის ჩათვლით, 2020 წლის 10 ივლისიდან 31 ივლისის ჩათვლით:**

| რეგისტრაციის № | რადიოსადგურის მფლობელი | რადიოსადგურის განთავსების ადგილი | სახმობი | კატეგორია |
|---|---|---|---|---|
| T – 075 | ჯუნიჩი ტანაკა | საქართველოს ტერიტორია | 4L9S | „A“ |

2. რადიომოყვარული ჯუნიჩი ტანაკა, რადიომოყვარულთა საერთაშორისო გაერთიანების (IARU) მოქმედი ინსტრუქციების შესაბამისად, ვალდებულია დაიცვას ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის (ITU) მიერ განსაზღვრული რადიოსამოყვარულო სამსახურის რეგულირების ზოგადი პრინციპები და ასევე სამოყვარულო რადიოსადგურით სამოყვარულო რადიოკავშირის განხორციელების წესები;
3. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის ჯუნიჩი ტანაკასთვის გაგზავნა (ნ. ჯავახიძე) და კომისიის ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.gncc.ge) გამოქვეყნება (ნ. შოვნაძე);
4. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე;
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., № 6) ჯუნიჩი ტანაკასთვის გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში;
6. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის ავტორიზაციის და ლიცენზირების ჯგუფს (მ. ქადეიშვილი).

კახი ბექაური

თავმჯდომარე

ელისო ასანიძე

წევრი

მერაბ ქათამაძე

წევრი